საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.10.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 089/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 19 ოქტომბერს საჩივრით მომართა ლ. ჭ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის 2023 წლის 06 ნოემბერს დისტანციური ფორმატით გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის პოზიციის თანახმად, ის არის ააიპ ი. ა.-ის იურისტი და დამფუძნებელი, შესაბამისად საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე წლებია, რაც იცნობს ადვოკატ ნ. მ.-ს, რომელიც საჩივრის ავტორის შეფასებით გამოირჩევა უხამსი, შეურაცხმყოფელი და არაკორექტული გამონათქვამებით, რომლებიც მიმართულია დამცირების, შეურაცხყოფისა და პიროვნების ფსიქოლოგიური დათრგუნვისკენ. აღნიშნული გარემოებების ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ გამოქვეყნებული პოსტი სოციალური ქსელის „Facebook-ის“ პირად გვერდზე, რომელიც ეხება ბაღდათის რაიონული სამმართველოს პოლიციის უფროსის ავტოსაგზაო შემთხვევას,

რომელთან დაკავშირებითაც ადვოკატმა ნ. მ.-მ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე გაავრცელა ინფორმაცია: „...ასობით დაზარალებული ყავს, მეტი რაღა უნდა დაგწყევლოთ, ეგ რომ ოჯახში გყავთ, ვინც გაბედა და დაწერა, სათითაოდ ურეკავენ და აბულინგებენ, 2 წელია ოპერაციას ოპერაციაზე ვუკეთებ, მაგან რომ დაასახიჩრა ჩემი ქმარი, უდანაშაულო ადამიანი. არ გაბედოს და ჩემს ქმარზე ვინმემ არ დაწეროს.... თორემ ვერც ერთი ადვოკატი ვერ უშველის... ჰოდა არ აპატიონ ს., სულ გალეშილი მთვრალი დაეთრევა, უანგაროდ დავეხმარები, რომ ამ ნაძირალამ აგოს პასუხი, ძველი პირსისხლიანი მძორი, ძველი სისხლისმსმელი, ყველა მთავრობისთვის საჭირო კაცი, ჩვეულებრივი პირსისხლიანი მკვლელი, ბოლოს ბაღდათში საქმეზე რომ გახლდით, გალეშილი მთვრალი აგინებდა თანამშრომლებს...“.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. მ. ბრალდებულის ინტერესებს იცავდა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდებული გახლდათ მამამთილი, რომელმაც, რომელმაც გასული წლის ოქტომბერში, წყალტუბოს ერთ-ერთ სოფელში, საკუთარი შვილიშვილების, თვალწინ საკუთარი გარდაცვლილი შვილის მეუღლეს მიაყენა მრავალრიცხოვანი დაზიანებები ცივი იარაღის გამოყენებით. აღნიშნული საქმის განხილვის დროს, ადვოკატი არაკორექტულად და დამამცირებელი სიტყვებით მიმართავდა ბრალდების მოწმეებს, რადგანაც ისინი იყვნენ დაზარალებულის ნათესავები, ხოლო თავად დაზარალებულს დაკითხვის დროს რამდენიმეჯერ მიაყენა შეურაცხყოფა, რის გამოც მან მიიღო სიტყვიერი შენიშვნა საქმის განმხილველი მოსამართლისგან და მოსამართლემ მას მოუწოდა კორექტულობისკენ. ასევე ადვოკატმა ნ. მ.-მ, როგორც ბრალდებულის ადვოკატმა, ბრალდებულის შვილის, რ. ა.-ის პირად „Facebook“-ის გვერდზე განთავსებულ ფოტოზე, სადაც ასევე აღბეჭდილი იყო საჩივრის ავტორის მარწმუნებელი გ. მ , განათავსა შეურაცხმყოფელი შინაარსის კომენტარი, კერძოდ „მაგის მერე სახლში რომ შეუშვით, მაგიტომაა ახლა მკვდარსაც ამწარებს... საერთოდ მიკვირს ასეთ ანგელოზ ბიჭებს მახინჯი სულის და გარეგნობის ქალები რატომ მოყავთ?“. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული განცხადება წარმოადგენს ეთიკური ვალდებულებების დარღვევას, რადგან ადვოკატი დაზარალებულ ქალბატონს მიმართავს დამამცირებლად, შეურაცხმყოფელად და ამას ანხორციელებს საჯაროდ.

1.4 საჩივრის თანახმად, 2023 წლის ზაფხულში, მის სამუშაო მისამართზე ქ.ქუთაისი, მასთან მივიდნენ ქალბატონები: ნ. გ. და ლ. გ., რომლებმაც სთხოვეს, რომ მათთვის გაეწია წარმომადგენლობა სამოქალაქო სამართლის საქმეზე, რაზეც საჩივრის ავტორმა განაცხადა თანხმობა და კლიენტების სახელით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა შესაგებელი. გარკვეული პერიოდის შემდგომ მან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან გზავნილის სახით მიიღო მოსაზრება შესაგებლის თაობაზე, რომელიც გახლდათ დაწერილი მეორე მხარის ადვოკატის ნ. მ.-ის მიერ, სადაც ადვოკატი მის კლიენტებს და თავად მას მოიხსენიებდა დამამცირებელი ტონით, კერძოდ კი „...წაკითხულის გააზრების პრობლემაა თუ წაუკითხაობის, საინტერესოა...მოპასუხეებს მივუთითებ, რომ ღირსება უნდა გაგაჩნდეს თავად, სანამ სხვის ღირსებაზე იტყვით რამეს, ორმა უღირსმა ქალბატონმა... რძალი გამოაგდეს გარეთ, ნაჯახით მოსდევნდნენ თოთო ბავშვით საბრალო გოგოს, ღმერთის არ გეშინიათ? თქვენი ნათესავები მოყვებიან თქვენს უღირსს საქციელს, დეტალურად გაგიცოცხლებთ თქვენს უღირსად ნაცხოვრებ წარსულს, წარმოვადგენთ უამრავ მოწმეს, რომლებიც დეტალურად მოყვებიან მოპასუხეთა უღირსობაზე, როგორ ბედავთ უღირსი უწოდოთ ვინმეს, უღირსი მიმთვისებლები და

მორალდაკარგულები ხართ ორივე, კარგად ეაფირისტებოდით თორნიკეს ბაბუის გარდაცვალების შემდგომ“.

1.5 საჩივრის ავტორი 2022 წლის ზაფხულში იცავდა მოქალაქე ა. ბ.-ის ინტერესებს მისი მეუღლის მ. ა.-ის მიმართ ადმინისტრაციული დავის ფარგლებში, რომელიც გაიდაიზარდა სამოქალაქო დავაში. მომჩივანის თანახმად, აღნიშნული საქმის ადმინისტრაციული დავის ფარგლებში და შემდგომ პერიოდშიც მასთან სატელეფონო კომუნიკაციას ამყარებდა ადვოკატი ნ. მ. და უწმაწური სიტყვებით მოისხსენიებდა, როგორც საჩივრის ავტორის კლიენტს, ასევე საკუთარ კოლეგას და ამავდროულად კლიენტს მ. ა.-ს, კერძოდ კი „ხომ შემიწუხა გული მზიაია ლოთმა, მზიაია ბებერი ბოზი, ბესოია @ლე“.

1.6 საჩივრის მიხედვით, 2023 წლის აგვისტო-სექტემბრის მონაკვეთში საჩივრის ავტორი ქუთაისის იუსტიციის სახლში შეხვდა მოპასუხე ადვოკატს და მიესალმა მას, ხოლო როდესაც ადვოკატმა შენიშნა, რომ საჩივრის ავტორს ყელზე, მაჯაზე და თითზე ეკეთა ორ-ორი ბეჭედი, სამაჯური და ჯაჭვი, უთხრა შემდგომი სიტყვები „რა არის ბიჯო ეგი, რავა მ. ა. ბოზივით აგირიჩხინებია ეს ოქროები“. მ. ა. გახლავთ ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი და დღემდე მოპასუხე ადვოკატის კლიენტია.

1.7 საჩივრის ავტორის თანახმად, 2023 წლის ზაფხულს, მას ქალაქ ფოთში ჰქონდა სასამართლო პროცესები, რომლებიც დასრულდა მისი კლიენტებისათვის სასურველი შედეგით, რის შემდგომაც მოწინააღმდეგე მხარემ და მათმა ადვოკატმა მასზე შურისძიების მიზნით, სოციალური ქსელების გამოყენებით, კერძოდ კი „TikTok“ და „Facebook“ გვერდების გამოყენებით გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს ის, მისი ფეხმძიმე მეუღლე და სამი არასრულწლოვანი შვილი დაიღუპნენ ავტოკატასტროფაში, რამაც გამოიწვია მისი უაღრესად ემოციურად აღელვება და და თავისი პირადი ემოციებიდან გამომდინარე “Facebook” გვერდზე დაწერა, რომ ადვოკატს, რომელიც დაიცავდა იმ პირების უფლებებს ვინც მასზე და მისი ოჯახის წევრებზე გაავრცელეს ცრუ სახის ინფორმაცია სამართლებრივად არ გაახარებდა და აღელვებულ მდგომარეობაში ასევე გამოიყენა მისთვის შეუფერებელი ტერმინოლოგია. აღნიშნულ “Facebook” პუბლიკაციას კომენტარის სახით გამოეხმაურა ადვოკატი ნ. მ., რის შემდგომაც საჩივრის ავტორი „Facebook” მესენჯერის საშუალებით დაუკავშირდა მას, აუხსნა სიტუაცია და გაუგზავნა ვიდეო-მასალა, თუმცა ადვოკატის მხრიდან მიიღო პასუხი, რომ არ ფლობდა ამ ინფორმაციას, თუმცა მეორე მხარე იყო ადვოკატი და ამ ამბავში არაფერი იყო განსაკუთრებული, რამაც საჩივრის ავტორი აღაშფოთა და ადვოკატს მიმართა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით. ადვოკატმა დაბლოკა იგი სოციალურ ქსელ “Facebook”-ზე და 2023 წლის 15 ოქტომბერს საკუთარ Facebook გვერდზე საჩივრის ავტორის მიმართ განათავსა გადაუმოწმებელი, ცრუ, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია, კერძოდ: „ლ. ჭ. არ არის ადვოკატი, არც იურისტი, არც ჟურნალისტი. ხშირად აქვეყნებს პოსტის სახით ინფორმაციას რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ იტყუება რომ არის ადვოკატი. მას არ აქვს იურიდიული განათლება და ის ფაქტი რომ მისივე დაფუძნებულ ორგანიზაციაში თავი იურისტის პოზიციაზე დაინიშნა, მას იურისტის კვალიფიკაციას არ ანიჭებს. მისი ვითომ ჟურნალისტური სტატიები მიმართულია კონკრეტული ადამიანების დაშანტაჟებისკენ, რასაც ფინანსური სარგებლის მიღება აქვს მიზნად. ხშირად თავს ესხმის სკოლის დირექტორებს

მიზანი აქაც ნათელია. რამდენიმე დღის წინ მიზანმიმართულად გამოიყენა არასრულწლოვანი, ჯერ მისი კლასელები და სკოლა, ხოლო შემდეგ თავად ბავშვი, რეალური ბულინგის მსხვერპლად აქცია. გელათის სკოლის დირექტორის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მისი მიზანმიმართული ბულინგით განდგურებამდე მიიყვანა. გაირკვა ძიებით სიმართლე და ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის პასუხიც არავინ აგებინა. ჩვენ ადვოკატებმა მივმართეთ საქართველოს პროკურატურას. მივმართავთ ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიას მიუხედავად იმისა რომ ის არ არის ჟურნალისტი ქარტიას აუცილებლად უნდა ქონდეს რეაგირება მის უკანონო, ამორალური ვითომ ჟურნალისტური საქმიანობის თაობაზე. ლ. ჭ. ვეღარ მოახერხებს დაიბრალოს ვერც ჟურნალისტობა, ვერც ადვოკატობა, ვერც ფოსტალიონობა. (კი ესეც ვიცით ლ.). და არც მოსამართლის მანტიით ლაივების ჩართვა არ აქცევს მოსამართლედ. არც სერთიფიცირების კურსებით არ ხდება იურისტი ადამიანი, რომლებიც ადამიანების შეცდომაში შესაყვანად აქვს კედელზე გაკრული. იურისტის კვალიფიკაციას სჭირდება უმაღლესი განათლება, რაც არ გააჩნია ლ. ჭ.-ს და ფაქტიურად ფულს ახდევინებს ხალხს მომსახურეობაში რომლის გაწევაც მას არ შეუძლია, ნაცვლად კლიენტზე მომსახურეობისა ლანძღავს მოწინააღმდეგე მხარეს, სოციალურ ქსელებში უხმასი სიტყვებით თან აკომენტარებს თავად თავისივე ყალბი ფეისბუქ გვერდებიდან, და ამით ცდილობს გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და მოსამართლეზეც კი (სამწუხაროდ ხშირად გასდის კიდეც). გაავრცელეთ მეგობრებო, რომ იცოდეს საზოგადოებამ და არ იქცნენ მსხვერპლად".

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ მან თავდაპირველად არ გადადგა შესაბამისი ქმედითი იურიდიული ნაბიჯები, თუმცა რადგანაც პუბლიკაციას მოჰყვა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ხოლო ადვოკატი კვლავ განაგრძობდა აღნიშნული პუბლიკაციის ქვეშ მასზე საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებას, მან სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და სამოქალაქო წესით მოითხოვა ადვოკატის მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლის თანახმადაც ადვოკატს დაევალა, რომ არ წაეშალა მის მიერ გამოქვეყნებული „Facebook" პუბლიკაცია და ასევე გადაეყვანა იგი „მხოლოდ მე" რეჟიმში, რადგანაც პუბლიკაცია არ ყოფილიყო საჯარო. როგორც კი საჩივრის ავტორს ჩაბარდა განჩინება, მან ადვოკატს გაუგზავნა იგი ელექტრონულ ფოსტაზე, თუმცა ადვოკატმა მეორე დღესვე გამოაქვეყნა ზუსტად იგივე შინაარსის პუბლიკაცია და არ გაითვალისწინა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება. საჩივრის ავტორმა აღნიშნულის თაობაზე დაზუსტებული სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და სასამართლომ განჩინების საფუძველზე ადვოკატი დაავალდებულა, რომ მას ორივე მსგავსი შინაარსის პუბლიკაცია გადაეყვანა „მხოლოდ მე" რეჟიმზე. საჩივრის ავტორის პოზიციით, სასამართლოს განჩინება მან გადასცა აღმასრულებელს და სთხოვა, რომ დაჩქარებული წესით ჩაებარებინა ადვოკატისთვის, ადვოკატმა იმავე დღის 16:00 საათზე ჩაიბარა განჩინება, რაც აღმასრულებელმა შეატყობინა საჩივრის ავტორს, თუმცა ადვოკატმა კვლავ გამოაქვეყნა იგივე შინაარსის პუბლიკაცია და დაახლოებით 3-4 საათი ორივე პუბლიკაცია კვლავ საჯარო რეჟიმზე ჰქონდა, რის საფუძველზეც მის მიმართ დაიწყო გამოძიება სასამართლოს განჩინების აღუსრულებლობის თაობაზე.

1.9 საჩივრის ავტორის თანახმად, ის პირველი პროფესიით არის ფილოლოგი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 2021 წლის 06 იანვრიდან დღემდე მუშაობს ააიპ სოციალურ მედიაში ჟურნალისტის პოზიციაზე. 2016 წლიდან დღემდე ეწევა იურიდიულ საქმიანობას, წარმოადგენს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებთან, ასევე სასამართლოს სამივე ინსტანციაში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, შესაბამისად ადვოკატის მიერ „Facebook" პუბლიკაციაში ასახული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და არის ცილისმწამებლური, რომელიც მიზნად ისახავს მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას საზღვარგარეთიდან დაუკავშირდა ქალბატონი, რომელსაც ჰქონდა პრეტენზია ადვოკატ ნ. მ.-სთან, კერძოდ კი მან ადვოკატს გადასცა თანხა საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ, თუმცა ადვოკატმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები. ამ ქალბატონმა მას გადასცა ხელშეკრულება, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატი ნ. მ. იღებს ვალდებულებას, რომ დაიცვას სლოვენიაში, სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირის ინტერესები, ხოლო ჰონორარის სახით იღებს 3000 ლარს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლით, გამოძიების მიმდინარეობისას გამომძიებელმა საჩივრის ავტორს მოსთხოვა მის მარწმუნებელსა და ადვოკატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დედანი, რომელიც საჩივრის ავტორმა წარუდგინა გამომძიებელს, რა დროსაც აღმოაჩინა, რომ ადვოკატმა ნ. მ.-მ გააყალბა დოკუმენტაცია, კერძოდ კი კლიენტისთვის გადაცემულ ხელშეკრულების ვერსიაში, ხელშეკრულების საგანში მითითებულია „ბ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე, საადვოკატო მომსახურების გაწევას. ბ. კ.-ის სლოვენიაში უკანონო დაკავების ფაქტზე", თავად ადვოკატის მიერ წარმოდგენილ ვერსიაში კი, ხელშეკრულების საგანში მითითებულია „ბ. კ.-ის უფლებების დაცვა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში", რაც რეალურად არ იყო კლიენტსა და ადვოკატს შორის შეთანხმების საგანი და ადვოკატმა შეთანხმების საგანი განზრახ შეცვალა.

1.11 საჩივრის ავტორის თანახმად, 2023 წლის 17 ოქტომბერს ჟურნალისტმა ს. ჩ.-მ მის მიერ ჩართულ „Facebook" ვიდეოს პირდაპირ რეჟიმში მიმდინარეობისას სცადა თვითმკვლელობა. აღნიშნული ვიდეოს გავრცელების შემდგომ, ადვოკატმა ნ. მ.-მ გამოაქვეყნა პუბლიკაცია „Facebook-ზე", სადაც მტკიცებით ფორმაში უთითებს, რომ ს. ჩ. თვითმკვლელობამდე მიიყვანა საჩივრის ავტორმა და პუბლიკაციას თან ურთავს საჩივრის ავტორის ფოტოსურათს. მიუხედავად იმისა, რომ ს. ჩ.-მ ვიდეოს მიმდინარეობისას ახსენა, რომ ის ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს საჩივრის ავტორმა და ა. ს.-მ, ადვოკატი ა. ს.-ს საერთოდ არ ახსნებს და მოიხსენიებს მხოლოდ მას, თანაც მტკიცებით ფორმაში.

1.12 2023 წლის 06 ნოემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა მოწმის ა. ს.-ის გამოკითხვაზე, საჩივრის ავტორის აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა კოლეგიის მიერ, თუმცა მას განესაზღვრა, რომ 2023 წლის 06 ნოემბრის დღის ბოლომდე ეზრუნველყო მოწმის საკომუნიკაციო რეკვიზიტების მიწოდება ეთიკის კომისიის აპარატისთვის, თუმცა საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო მოწმის საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება დათქმულ ვადაში, რის გამოც მოწმე არ გამოიკითხა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ნ. მ.-ს 2023 წლის 24 ოქტომბერს გაეგზავნა საჩივარი, თანდართული დოკუმენტებით და სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად ეცნობა ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ შემოსულ საჩივარზე. 2023 წლის 31 ოქტომბერს ადვოკატმა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, საჩივრის თაობაზე. ის ჩაერთო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე და დაადასტურა, რომ ეთანხმება მის მიერ წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებას, საჩივართან დაკავშირებით.

2.2 მოპასუხე ადვოკატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტების თანახმად, მან ლ. ჭ.-ის შესახებ პირველად გაიგო 2018 წელს, სოციალური ქსელი „Facebook-ის მეშვეობით, თუმცა მასთან 2023 წლამდე არ ჰქონია არც კონფლიქტი და არც რომელიმე საქმეში გადაკვეთილა მათი ინტერესები.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ლ. ჭ. სოციალური ქსელი „Facebook-ის" მეშვეობით ლანძღავდა ადვოკატებს და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რის თაობაზეც მან კორექტულად მიუთითა საჩივრის ავტორს, რომ ეს არ იყო სხვა ადვოკატებთან ურთიერთობის სწორი ფორმა, ამის შემდგომ ლ. ჭ. მას დაუკავშირდა "Facebook" აპლიკაცია "მესენჯერის" მეშვეობით და მისწერა სხვადასხვა სახის შეურაცხმყოფელი ტექსტი, ასევე ახსენა მისი შვილები, რის შემდგომაც ადვოკატმა არ ისურვა მასთან კომუნიკაცია და დაბლოკა, როგორც „Facebook-ზე", ასევე „მესენჯერში", რადგან ჩათვალა, რომ საჩივრის ავტორი არ იყო ფსიქოლოგიურად ჯანსაღ მდგომარეობაში და არ სურდა სიტუაციის უფრო გამწვავება.

2.4 ადვოკატის პოზიციით, აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, მან სოციალური ქსელის „Facebook-ის" გვერდზე დაწერა, რომ მისთვის მიუღებელია ადვოკატებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოხსენიება, თუმცა ეს პოსტი არ იყო საჯარო და მისი ნახვა შეეძლოთ მხოლოდ ადვოკატის მეგობრებს, ასევე პოსტში ნახსენები არ იყო ლ. ჭ.-ის სახელი და გვარი. აღნიშნულ პოსტს მოჰყვა დიდი გამოხმაურება და სხვა ადვოკატებმაც დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია, რამაც გამოიწვია ლ. ჭ.-ის გაღიზიანება და მან სოციალურ ქსელის „Facebook-ის" მეშვეობით, საკუთარ პირად გვერდზე გამოაქვეყნა პუბლიკაცია ადვოკატის მიმართ, რომელიც მისი შეფასებით იყო შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ღირსებისა და პატივის, ასევე საქმიანი რეპუტაციის შემლახველი.

2.5 ადვოკატის პოზიციით, აღნიშნული პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ, მას უკავშირდებოდნენ მოქალაქეები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ლ. ჭ. იყო ადვოკატი და აღნიშნავდნენ, რომ კოლეგის მხრიდან მეორე კოლეგის მსგავსი შეურაცხყოფა არის აღმაშფოთებელი. სწორედ აქედან გამომდინარე, რადგანაც არსებულ საკითხზე არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მან საჯარო პუბლიკაციის სახით, სოციალური ქსელის „Facebook-ის" მეშვეობით გააზიარა ქ. თ.-ის პუბლიკაცია, რომელიც შეეხებოდა ლ. ჭ.-ს და მიუთითა, რომ ლ. ჭ. არ არის ადვოკატი, ჟურნალისტი და იურისტი, რამაც იმდენად აღაშფოთა ლ. ჭ., რომ მან ადვოკატს უჩივლა პოლიციაში ყოფილი კლიენტის სახელით, თითქოს ადვოკატმა ყოფილი კლიენტისგან აიღო ფული და არ გაუწია შესაბამისი მომსახურეობა, ასევე უჩივლა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში და სასამართლოში სამოქალაქო წესით საქმიანი რეპუტაციის შელახვის თაობაზე. ადვოკატის მოსაზრებით, აღნიშნული ქმედებებით ლ. ჭ. ცდილობს მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მისპოზიციას ადასტურებს, მის მიერ საქმისთვის დართული მტკიცებულებები, ე.წ „სქრინშოთების“ სახით, სადაც ნათლად არის ასახული, თუ რა სახის კომუნიკაცია ჰქონდა ლ. ჭ.-ს მასთან, რა სიტყვებით მოიხსენიებდა და თავად ადვოკატის პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ლ. ჭ.-ის მიერ წარმოდგენილი საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიებიდან, მხოლოდ ერთი „Facebook“ პუბლიკაცია ეხება ლ. ჭ.-ს, ხოლო სხვა პრეტენზიები შეეხებათ ისეთ პიროვნებებს, სადაც ლ. ჭ. არ არის დაინტერესებული პირი, ხოლო ის „Facebook“ პუბლიკაცია, რომელიც შეეხება ლ. ჭ.-ს არ არის შეურაცხმყოფელი, მასში ასახულია სწორი ინფორმაცია და სრულიად შეესაბამება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებას.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი№/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ლ. ჭ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 19 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედებები განხორციელდა 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, მის მიერ სოციალურ ქსელ „Facebook-ში“ 2023 წლის 15 ოქტომბერს გამოქვეყნებული პოსტისა და ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 06 იანვარს გაგზავნილი მოსაზრება შესაგებლის თაობაზე, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მოისმინა მხარეთა პოზიციები, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს რომ ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ არსებული საჩივრის ავტორის სხვა პრეტენზიების ნაწილში, კერძოდ რომლებიც ეხება: ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტისა და კოლეგის მ. ა.-ის შეურაცხყოფას, ადვოკატის მიერ სხვა პირების: ა. ს.-ის და გ. მ.-ის შეურაცხყოფას, ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელ „Facebook-ში“ 2023 წლის 18 ოქტომბერს გამოქვეყნებულ პოსტს, სადაც იგი ს. ჩ.-ის თვითმკვლელობამდე მიყვანას უკავშირებს ლ. ჭ.-ს და ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ ბ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე გაწეულ საადვოკატო მომსახურებას, ადვოკატის გამოუმუშავებელ ჰონორის საკითხს და 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების საგნის განზრახ შეცვლას „ადვოკატთა

დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდგომში: ადვოკატმა ნ. მ.-მ სოციალურ ქსელ „Facebook-ში“ 2023 წლის 15 ოქტომბერს გამოქვეყნებული პოსტით მის მიმართ გაავრცელა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი განცხადება.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

“ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ))

“ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.” („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, მუხლი 9.1)

“ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას”. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4)

5.3 „საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს, სხვათა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. ადვოკატები სრულად სარგებლობენ აღნიშნული უფლებით, თუმცა, ადვოკატთა პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, მათ ეკისრებათ, როგორც სიტყვისა და გამოხატვის უფლების ზოგადი წესით დადგენილი შეზღუდვის დაცვა, ასევე პროფესიის მიმართ პატივისცემის ვალდებულება. ის რომ ადვოკატებს, სხვა პირებისგან განსხვავებით გამოხატვის თავისუფლების უფრო შეზღუდული ფარგლები აქვთ, სწორედ კორპორაციული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავების მიზნიდან გამომდინარეობს“. (ეთიკის კომისიის 2023 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №089/21).

5.4 „ადვოკატს, როგორც საზოგადოებაში მაღალი ნდობით აღჭურვილ პირს, ჩვეულებრივ პირზე მეტად მოეთხოვება საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების დაცვა, როგორც საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს, ასევე საჯარო გამოსვლებისას. ადვოკატმა პროფესიაში არსებობის პერიოდში კეთილსინდისიერად და პირნათლად უნდა შეასრულოს პროფესიული ვალდებულება, იყოს სამართლიანობის იდეების ერთგული, დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები,

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21 პრიმა .1)

5.5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

5.6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№1/3/421.422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

5.7 ევროპული სასამართლო აღნიშნავს, საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დადგენისას სახელმწიფოთათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები [margin of appreciation] განსაკუთრებით ვიწროა) (Floquet and Esménard v. France, no. 29064/08, 10 January 2002; July and SARL Libération judgment (no. 20893/03, ECHR 2008; Morice v. France [GC], no. 29369/10, § 153, 23 April 2015). სუსგ 2015 წლის 30 სექტემბრის № ას-1052-1007- 2014 მოცემულია მსჯელობა, რომ ვინაიდან ცნობები გავრცელებულია იმ საკითხის განხილვისას, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადობის მაღალი ინტერესი, სასამართლო იმ შემთხვევაში იყენებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუ არ არსებობს არანაირი ეჭვი ცნობებისათვის ფაქტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი. გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა.

5.8 ეთიკის კომისია პრაქტიკით ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს ადგენს, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ იურიდიული პროფესიის მქონე სხვა პირების მიმართაც: ,,გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი (ეთიკის კომისიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N076/10), თუმცა ადვოკატი ვალდებულია საჯარო განცხადებების გაკეთების დროს დაიცვას ინფორმაციის სისწორე, ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, მაშინ, როდესაც მისი კომენტარები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე (ეთიკის კომისიის 2011 წლის 05 სექტემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N069/11).

5.9 ეთიკის კომისია საჭიროდ თვლის ერთმანეთისგან გამიჯნოს შეურაცხყოფა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირებას, მისი პატივისა და ღირსების შელახვას, გამოხატულს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ამასთან, შეურაცხყოფა აუცილებლად გულისხმოს არაეთიკური და ამორალური ფრაზების ხმარებას. პიროვნებისთვის მორალური ტანჯვის გამომწვევი შესაძლოა იყოს სიმართლეც, გამოთქმული ეთიკურობის ფარგლებში, რაც არ უნდა შეფასდეს სიტყვიერ შეურაცხყოფად, თუნდაც ასეთი ფრაზები პირმა აღიქვას როგორც მისი თავმოყვარეობის შელახვა.

5.10 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრებები თავისუფლად, თუ მისი შეხედულებები არ ეწინააღმდეგება მორალისა და ზნეობის საყოველთაოდ დამკვიდრებულ სტანდარტებს.

5.11 ამ ეტაპზე საპროცესო კოლეგიის მიერ დასადგენია, ფაქტების დამტკიცების შემთხვევაში, თავისი განცხადებებით შელახა თუ არა ადვოკატმა საჩივრის ავტორის ღირსება და გამოიჩინა თუ არა მის მიმართ უპატივცემულობა.

5.12 საქმეში წარმოდგენილია, ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ 2023 წლის 15 ოქტომბერს სოციალურ ქსელ „Facebook-ზე“ გამოქვეყნებული პოსტი. ადვოკატი სადავოდ არ ხდის აღნიშნული პოსტის მისდამი კუთვნილებას და ადასტურებს, რომ ის ნამდვილად მის მიერ არის დაწერილი. პოსტის შინაარსი ასეთია:

„ლ. ჭ. არ არის ადვოკატი, არც იურისტი, არც ჟურნალისტი. ხშირად აქვეყნებს პოსტის სახით ინფორმაციას რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ იტყუება რომ არის ადვოკატი. მას არ აქვს იურიდიული განათლება და ის ფაქტი რომ მისივე დაფუძნებულ ორგანიზაციაში თავი იურისტის პოზიციაზე დაინიშნა, მას იურისტის კვალიფიკაციას არ ანიჭებს. მისი ვითომ ჟურნალისტური სტატიები მიმართულია კონკრეტული ადამიანების დაშანტაჟებისკენ, რასაც ფინანსური სარგებლის მიღება აქვს მიზნად. ხშირად თავს ესხმის სკოლის დირექტორებს მიზანი აქაც ნათელია. რამდენიმე დღის წინ მიზანმიმართულად გამოიყენა არასრულწლოვანი, ჯერ მისი კლასელები და სკოლა, ხოლო შემდეგ თავად ბავშვი, რეალური ბულინგის მსხვერპლად აქცია. გელათის სკოლის დირექტორის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მისი მიზანმიმართული ბულინგით

განდგურებამდე მიიყვანა. გაირკვა ძიებით სიმართლე და ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის პასუხიც არავინ აგებინა. ჩვენ ადვოკატებმა მივმართეთ საქართველოს პროკურატურას. მივმართავთ ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიას მიუხედავად იმისა რომ ის არ არის ჟურნალისტი ქარტიას აუცილებლად უნდა ქონდეს რეაგირება მის უკანონო, ამორალური ვითომ ჟურნალისტური საქმიანობის თაობაზე. ლ. ჭ. ველარ მოახერხებს დაიბრალოს ვერც ჟურნალისტობა, ვერც ადვოკატობა, ვერც ფოსტალიონობა. (კი ესეც ვიცით ლ.). და არც მოსამართლის მანტიით ლაივების ჩართვა არ აქცევს მოსამართლედ. არც სერთიფიცირების კურსებით არ ხდება იურისტი ადამიანი, რომლებიც ადამიანების შეცდომაში შესაყვანად აქვს კედელზე გაკრული. იურისტის კვალიფიკაციას სჭირდება უმაღლესი განათლება, რაც არ გააჩნია ლ. ჭ.-ს და ფაქტიურად ფულს ახდევინებს ხალხს მომსახურეობაში რომლის გაწევაც მას არ შეუძლია, ნაცვლად კლიენტზე მომსახურეობისა ლანძღავს მოწინააღმდეგე მხარეს, სოციალურ ქსელებში უხმასი სიტყვებით თან აკომენტარებს თავად თავისივე ყალბი ფეისბუქ გვერდებიდან, და ამით ცდილობს გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და მოსამართლეზეც კი (სამწუხაროდ ხშირად გასდის კიდეც). გაავრცელეთ მეგობრებო, რომ იცოდეს საზოგადოებამ და არ იქცნენ მსხვერპლად".

5.13 ამ შემთხვევაში შესაფასებელია, რამდენად დაცულია ასეთი განცხადება გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლებებით. საპროცესო კოლეგია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებზე მსჯელობისას ეყრდნობა ევროსასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. „თუ არსებობს ეჭვი აზრისა და ფაქტის გამიჯვნასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისთვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ". (2018 წლის 17 იანვრის სუსგ N ს-790-739-2017).

5.14 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ 2023 წლის 15 ოქტომბერს სოციალურ ქსელ "Facebook-ზე" გამოქვეყნებულ პოსტში წარმოდგენილი მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან პოსტი შეიცავს შეფასებით მსჯელობას და აღნიშნულ პუბლიკაციაში ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს საჩივრის ავტორის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოხსენიებას. თავის მხრივ მოპასუხე ადვოკატმა წარმოადგინა ე.წ „სქრინშოთები", სადაც ასახულია, რომ საჩივრის ავტორი მოიხსენიებს მას შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით, კერძოდ *„რა უნდა მაგ ძონძს... ერთმა მომწერა სამხარეოს ნასეტკაო..."* და აღნიშნა, რომ მის მიერ 2023 წლის 15 ოქტომბერს გამოქვეყნებული პოსტი, სწორედ საჩივრის ავტორის მხრიდან მომავალი შურაცხმყოფელი განცხადებების პასუხი იყო. თუ არსებობს ეჭვი, ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ 2023 წლის 15 ოქტომბრის პოსტში ასახული ინფორმაცია ფაქტია თუ მოსაზრება, ყოველგვარი ეჭვი მოსაზრებასა და ფაქტს შორის, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ, რომელიც სარგებლობს სამართლებრივი დაცვით. ამ შემთხვევაში საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს მოსაზრებას.

5.15 შესაბამისად საპროცესო კოლეგია ასკვნის, რომ ვერ დგინდება ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" 9.1 მუხლის და 9.4 მუხლის დარღვევა.

5.16 საჩივრის ავტორის პრეტენზიის თანახმად, ადვოკატმა ნ. მ.-მ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 06 იანვარს წარადგინა მოსაზრება შესაგებლის თაობაზე (N), სადაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია მისი მარწმუნებლები და თავად საჩივრის ავტორიც.

5.17 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდგომი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

"ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები". („ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ))

"ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს." („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი", მუხლი 9.1)

"ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას". (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4)

5.18 „...ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს." (ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 075/10)

5.19 „ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი". (ეთიკის კომისიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №076/10)

5.20 ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი". (ეთიკის კომისიის 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №2317/12/06)

5.21 აღნიშნულთან დაკავშირებით, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38.4 მუხლი განმარტავს, რომ „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე".

5.22 საქმეში წარმოდგენილია ადვოკატ ნ. მ.-ის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 06 იანვარს გაგზავნილი მოსაზრება შესაგებლის თაობაზე (N), რომლის სრული კონტექსტიც არის შემდგომი სახის:

„წარმოდგენილი შესაგებელი არ პასუხობს სარჩელს და მეტიც შესაგებელში წარმოდგენილი პასუხებით ცალსახაა, რომ მოპასუხეები სარჩელს არ გაცნობილან, რასაც ცხადყოფს შემდეგი გარემოებები... შემდეგ მეორე ფაქტობრივ გარემოებას არ ეთანხმება. (ანუ არ ეთანხმება იმ ფაქტს რომ მოპასუხეებმა ფაქტობრივად მიიღეს სამკვიდროს თავიანთი წილი და განკარგავენ) პასუხი კი შინაარსი უწერიათ, რომ მოსარჩელეს არ მიუღია ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროო" უკაცრავად და სად წერია მსგავსი? წაკითხულის გააზრების პრობლემა თუ წაუკითხაობის საინტერესოა... მესამე ფაქტობრივ გარემოებაში სადაც ექსპერტიზის დასკვნაა ჩვენს მიერ წარმოდგენილი არ ეთანხმება იმ მოტივით საქმისთვის არ არის მნიშვნელოვანიო. იუმორის გრძნობა გაქვთ მოჭარბებული აშკარად, სასარჩელო მოთხოვნებს დახედეთ, როგორმე მოსარჩელე მხარე გადავწყვიტავთ რა მტკიცებულებებს დავაფუძნოთ ჩვენი მოთხოვნა... რაც შეეხება დამატებით ფაქტობრივ გარემოებებში მითითებას თითქოს თორნიკე შანაძე არის უღირსი მემკვიდრე, ამის თაობაზე მოპასუხეებს მივუთითებ, რომ ღირსება უნდა გაგაჩნდეს თავად სანამ სხვის ღირსებაზე იტყვით რამეს, ორმა უღირსმა ქალბატონმა 25 წლის ქვრივი რძალი (ერთადერთი გარდაცვლილი ძმის მეუღლე) და 3 წლის თ. სახლიდან გამოაგდეს ნაჯახით მოსდევდნენ თოთო ბავშვით საბრალო გოგოს. მისი ოქროს ნივთები წლები ხელზე ეკეთათ... (ღმერთის არ გეშინიათ?), აი თქვენი ნათესავები მოყვებიან ამ პროცესზე ფართოდ თქვენს ყველა უღირს საქციელს რაც გარდაცვლილი ძმის ოჯახს დამართეთ, დეტალურად გაგიცოცხლებთ უღირსად ნაცხოვრებ წარსულს... ყოველთვის ტირილით და ბოდიშებით მოდიოდა ბებია ბაბუა თორნიკესთან და ეუბნებოდნენ თქვენს სიავეს რასაც თქვენ ორი ვითომ მამიდა ჩადიოდით, ჩვენ წარმოვადგენთ უამრავ მოწმეს რომლებიც დეტალურად მოყვებიან მოპასუხეების უღირსობაზე, გარდაცვლილი ძმის ერთადერთი შვილის მიმართ და მისი მეუღლის მიმართ გაუგონარ სისასტიკეზე, რაც ამ ორმა ჩაიდინა. თქვენ მართლა როგორ ბედავთ ვინმეს უღირსი უწოდოთ? უღირსი, მიმთვისებელი და მორალდაკარგულები ხართ, ორივე. კარგად ეაფირსტებოდით თორნიკეს ბაბუის გარდაცვალების მერე სახლი რომ მოგინდათ. ახლაა უღირსი? ამ სასამართლოს და ღმერთის სასამართლოს ვერ გადაურჩებით ამჯერად".

5.23 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მოხსენიება, შემდგომი სახის კონტექსტში - „წაკითხულის გააზრების პრობლემა თუ წაუკითხაობის საინტერესოა... იუმორის გრძნობა გაქვთ აშკარად მოჭარბებული", არ სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და არ წარმოადგენს ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის უფლებების შელახვას. ადვოკატის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უშუალოდ საჩივრის ავტორის მოხსენიებას, შურაცხმყოფელი სიტყვებით, არამედ ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე და კლიენტის დავალებით, შეაფასა კონკრეტული პიროვნებების ქმედებები და ამასთან დაკავშირებით გააკეთა ზოგადი შეფასება, რომელიც არ იყო მიმართული უშუალოდ საჩივრის ავტორის მიმართ, არამედ იყო ზოგადი სახის. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი მოსაზრება შესაგებლის

თაობაზე (N) შესაძლოა არ იყო მისაღები საჩივრის ავტორისთვის, მაგრამ ის არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს საჩივრის ავტორის ღირსების შელახვას.

5.24 რაც შეეხება ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ განცხადებაში მითითებულ სხვა სახის ფრაზებს, რომლებსაც ასევე შურაცხმყოფელად მიიჩნევს საჩივრის ავტორი, საპროცესო კოლეგიის შეფასებით ისინი მიემართება საჩივრის ავტორის მარწმუნებლებს, შესაბამისად აღნიშნული პრეტენზიების ნაწილში საჩივრის ავტორი ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ განმცხადებლად, რადგანაც არ წარმოადგენს უფლების დარღვევის სუბიექტს. საჩივრის ავტორის მარწმუნებლები უფლებამოსილები არიან თავად მომართონ ეთიკის კომისიას.

5.25 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომელიც შეეხებოდა ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ სოციალურ ქსელ "Facebook-ში" 2023 წლის 18 ოქტომბერს გამოქვეყენებულ პოსტს, სადაც საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მტკიცებით ფორმაში ავრცელებდა ინფორმაციას, რომ საჩივრის ავტორმა მიიყვანა სერგო ჩივაძე თვითმკვლელობამდე და ეს მის მიერ განხორციელებული კიბერ-ბულინგის შედეგი იყო.

5.26 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.". ამავე დებულების მე-6 მუხლის თანახმად, „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა. ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე".

5.27 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით - „ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5, მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის". ეთიკის კომისია განიხილავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრის მიმართ შემოსულ საჩივარს, სადაც უნდა აღინიშნოს ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პროფესიული ვალდებულებების შესაძლო დარღვევის ფაქტები. ადვოკატს პროფესიული ვალდებულებები გააჩნია კლიენტების, კოლეგების, სასამართლოს ან მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოების, პროცესის მონაწილეების მიმართ.

5.28 მხარეთა ახსნა-განმარტებებით და საქმის მასალებით არ დგინდება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც შეეხება ს. ჩ.-ის მიერ თვითმკვლელობის მცდელობას, საჩივრის ავტორი და ადვოკატი არიან პროცესის მონაწილეები. შესაბამისად მაშინ, როდესაც ადვოკატს პროფესიული ვალდებულებები გააჩნია კლიენტებთან, კოლეგებთან, სასამართლოსთან ან პროცესიის მონაწილეებთან ურთიერთობისას, ხოლო საჩივრის ავტორი არ არის არც ერთი მათგანი, იმ სისხლის

სამართლის საქმეში, რომელთან დაკავშირებითაც, 2023 წლის 18 ოქტომბერს ადვოკატმა გამოაქვეყნა "Facebook" პოსტი და მოიხსენია საჩივრის ავტორი, კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს მოპასუხე ადვოკატის ქცევის შესაბამისობა ეთიკის ნორმებთან, პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვის ნაწილში. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის საფუძველზე ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ პროცესის მონაწილე პირის უფლებათა შელახვის ნაწილში, ლ. ჭ. არ არის ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანაზე უფლებამოსილი პირი და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოპასუხე ადვოკატის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5.29 საჩივრის ავტორის მორიგი პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ნ. მ. მასთან შემდგარი პირადი სატელეფონო საუბრებისას და ასევე 2023 წლის აგვისტო-სექტემბრის მონაკვეთში მათ შორის ქუთაისის იუსტიციის სახლში გამართული დიალოგისას, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა საკუთარ კოლეგას და ამავდროულად კლიენტს მ. ა.-ს.

5.30 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის, რომელიც ამავდროულად მისი კოლეგაა, პატივისცემა და არ მოხსენიება შეურაცხმყოფელი სიტყვებით, კოლეგიალობის ვალდებულების დაცვისა და პროცესის მონაწილეთა პატივისცემის შემადგენელი ნაწილია („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი", მუხლები: 7; 10.1; 9.4), თუმცა აქაც მნიშვნელოვანია სათანადო მომჩივანის დადგენა. საჩივრის ავტორი ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ განმცხადებლად, ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის ან/და კოლეგის შეურაცხყოფის ნაწილში. აღნიშნულ პრეტენზიაზე უფლებამოსილი მომჩივანი იქნებოდა თავად კლიენტი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი, შესაბამისად, ლ. ჭ. არ წარმოადგენს სათანადო მომჩივანს, რის საფუძველზეც, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 9.1(გ) მუხლებით, კლიენტისა და კოლეგის სავარაუდო შეურაცხყოფის თაობაზე პრეტენზიის ნაწილშიც უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ ნ. მ.-ს მიმართ.

5.31 საჩივრის ავტორის პრეტენზია ასევე გამოიხატა შემდგომში: ადვოკატმა ნ. მ.-მ 2021 წლის 21 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ, რომლის თანახმადაც ადვოკატს უნდა დაეცვა სლოვენიაში დაკავებული პირის ბ. კ.-ის ინტერესები და ჰონორარის სახით აიღო 3000 ლარი, თუმცა ადვოკატმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მან ასევე გადასცა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ბ. კ.-ის ოჯახის წევრს, სადაც ხელშეკრულების საგანში მითითებული იყო „"შემსრულებელი ასრულებს და „შემკვეთი" იღებს მომსახურებას, ბ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე, საადვოკატო მომსახურების გაწევას. ბ. კ.-ის სლოვენიაში უკანონო დაკავების ფაქტზე", თუმცა თავად ადვოკატის მიერ მისთვის განკუთვნილ ხელშეკრულების დედანში, ხელშეკრულების საგნის გრაფაში მითითებული იყო „"შემსრულებელი" ასრულებს და „შემკვეთი" იღებს მომსახურებას: ბ. კ.-ის უფლებების დაცვა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში", რაც რეალურად არ ყოფილა მხარეთა შეთანხმების საგანი და ადვოკატმა თვითნებურად შეცვალა დოკუმენტის შინაარსი.

5.32 განსახილველ შემთხვევაში, საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზია უკავშირდება ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ ბ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე გაწეულ საადვოკატო მომსახურებას, ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის საკითხს და 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების საგნის განზრახ შეცვლას.

5.33 საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი ლ. ჭ. არ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად. ლ. ჭ. არ არის ადვოკატ ნ. მ.-ის უშუალო კლიენტი, ვინაიდან ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ გაფორმებული იყო ბ. კ.-ის ინტერესების დასაცავად, ხოლო ხელშეკრულების ხელმომწერია, ასევე, სხვა პირი ი. კ.. გამომდინარე აქედან, აღნიშნული პრეტენზიების ნაწილში, საჩივრის ავტორს არ ჰქონდა საჩივრის წარდგენის უფლება ადვოკატ ნ. მ.-ის წინააღმდეგ.

5.34 რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ნ. მ.-მ სოციალურ ქსელ „Facebook-ზე“ გამოქვეყნებული 2023 წლის 17 აგვისტოს პუბლიკაციით შურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია ბაღდათის რაიონული სამმართველოს უფროსი ა ს., კერძოდ: *„...ასობით დაზარალებული ყავს, მეტი რაღა უნდა დაგწყევლოთ, ეგ რომ ოჯახში გყავთ, ვინც გაბედა და დაწერა, სათითაოდ ურეკავენ და აბულინგებენ, 2 წელია ოპერაციას ოპერაციაზე ვუკეთებ, მაგან რომ დაასახიჩრა ჩემი ქმარი, უდანაშაულო ადამიანი. არ გაბედოს და ჩემს ქმარზე ვინმემ არ დაწეროს.... თორემ ვერც ერთი ადვოკატი ვერ უშველის... ჰოდა არ აპატიონ სოფო, სულ გალეშილი მთვრალი დაეთრევა, უანგაროდ დავეხმარები, რომ ამ ნაძირალამ აგოს პასუხი, ძველი პირსისხლიანი მძორი, ძველი სისხლისმსმელი, ყველა მთავრობისთვის საჭირო კაცი, ჩვეულებრივი პირსისხლიანი მკვლელი, ბოლოს ბაღდათში საქმეზე რომ გახლდით, გალეშილი მთვრალი აგინებდა თანამშრომლებს...“.* ასევე სოციალურ ქსელ “Facebook-ზე“ 2022 წლის 09 ნოემბერს დაწერილი კომენტარით, მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საჩივრის ავტორის კლიენტს გუგული მაღლაფერიძეს: *„მაგის მერე სახლში რომ შეუშვით, მაგიტომაა ახლა მკვდარსაც ამწარებს... საერთოდ მიკვირს ასეთ ანგელოზ ბიჭებს მახინჯი სულის და გარეგნობის ქალები რატომ მოყავთ?“.* საჩივრის ავტორი ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ განმცხადებლად, რადგანაც არ წარმოადგენს უფლების დარღვევის სუბიექტს. ალექსანდრე სვინტრაძე და გუგული მაღლაფერიძე უფლებამოსილები არიან თავად მომართონ ეთიკის კომისიას.

5.35 ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ არსებული საჩივრის ავტორის პრეტენზიების ნაწილში, კერძოდ რომლებიც ეხება: ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტისა და კოლეგის მ. ა.-ის შეურაცხყოფას, ადვოკატის მიერ სხვა პირების: ა. ს.-ის და გ. მ.-ის შეურაცხყოფას, ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელ „Facebook-ში“ 2023 წლის 18 ოქტომბერს გამოქვეყნებულ პოსტს, სადაც იგი ს. ჩ.-ის თვითმკვლელობამდე მიყვანას უკავშირებს ლ. ჭ.-ს და ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ ბ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე გაწეულ საადვოკატო მომსახურებას, ადვოკატის გამოუმუშავებელ ჰონორის საკითხს და 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების საგნის განზრახ შეცვლას საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე

წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლი ჩამოთვლის დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებს და მიუთითებს, რომ „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ)ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს; ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

5.36 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 27; 30.2; 40.1 მუხლებით, ასევე „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №089/23 ადვოკატ ნ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა მის მიერ სოციალურ ქსელ “Facebook“-ზე 2023 წლის 15 ოქტომბერს გამოქვეყნებული პუბლიკაციისა და ადვოკატის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 06 იანვარს შეტანილი მოსაზრება შესაგებლის ნაწილში, ხოლო საჩივრის ავტორის პრეტენზიის სხვა ნაწილებში ადვოკატის მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/